16
სექტემბერი
შაბათი,
1961 წ.
№ 143 (1779)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 8 კაპ.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

## საკავშირო პირველობა ქუთაისში

14 სექტემბერს ქუთაისში დაიწყო საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. უმჩატეს, ქვემსუბუქ, ქვესაშუალო და ქვემძიმე წონის სპორტსმენთა შორის არიან: მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ა. საიადოვი, ვ. სტაშკევიჩი, კ. ვირუპაევი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები ს. რიბალკო, ი. კოჩერგინი, ნ. ჩუჩალოვი და სხვები.

საქართველოდან ჩემპიონატში გამოდიან: გ. ჭეიშვილი, ა. მირიანოვი, ზ. შეყრილაძე (უმჩატესი წონა), რ. რურუა, გ. ესებუა, ა. ჩიხლაძე, ი. ნუცუბიძე (ქვემსუბუქი წონა), ტ. კარიჭაშვილი, ა. ცანავა (ქვესაშუალო წონა), შ. შაშუაშვილი, გ. სინაურიძე (ქვემძიმე წონა).

დანარჩენი წონითი კატეგორიის მოჭიდავეები (მჩატე, მსუბუქი, საშუალო, მძიმე) ოქროს მედლებისათვის ბრძოლას დაიწყებენ 1 ოქტომბერს ტაშკენტში.

კარგა ხანია, რაც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო და დაამტკიცა ახალი წესები როგორც თავისუფალ, ისე კლასიკურ, ჭიდაობაში. და აი ამ წესებმა პირველად იხილეს დღის სინათლე. უნდა ითქვას, რომ სიახლეებს, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ყველა ერთნაირი აღფრთოვანებით როდი შეხვდა. როგორც ყოველთვის, გამოჩნდნენ სკეპტიკოსები, რომლებიც ვერ ხედავდნენ ამ სიახლეთა აუცილებლობას და ძველი წესების მომხრედ რჩებოდნენ. მათი აზრით ჭიდაობა, როგორც სპორტის უძველესი სახეობა, სრულებით არ საჭიროებდა რეფორმებს...

მაგრამ აი დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრები და სკეპტიკოსთა ეჭვები საპნის ბუშტივით გაქრა. ახალმა წესებმა სრულიად ახლებურად წარმოგვიდგინა კლასიკური ჭიდაობა. ერთი შეხედვით სიახლენი არც თუ ისეთი მნიშვნელოვანია: შეხვედრის ხანგრძლივობის შემცირება თორმეტიდან 10 წუთამდე, 30-წამიანი შესვენება პირველი ნახევრის (5 წუთის) გავლის შემდეგ, რომლის დროსაც მწვრთნელს უფლება აქვს რჩევა-დარიგება მისცეს თავის აღსაზრდელს და წონითი კატეგორიების ფარგლების გაზრდა. ეს არის და ეს. მაგრამ ახალმა წესებმა ულმობელი ბრძოლა გამოუცხადა პასიურ ჭიდაობას და ამით ბრძოლა სანახაობრივი თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო გახადა.

უმჩატეს წონაში პირველი წრის შემდეგ ხუთ მოჭიდავეს მიესაჯა დამარცხება პასიურობისათვის. ეს პატარა ციფრი არაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამ წო-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.).

## „მცირე ჩემპიონატი“ მოგებულია

პრაღის საიუბილეო ტურნირზე უკანასკნელი შეხვედრა საბჭოთა ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებს მსოფლიოს ექს-ჩემპიონთან — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან ჰქონდა. ამ მატჩს უნდა გამოევლინა ტურნირში, ანუ როგორც მას მეორენაირად უწოდებენ — „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატში“ გამარჯვებული. მატჩში ხუთი პარტია გათამაშდა და მსოფლიოს ახლანდელმა ჩემპიონმა — საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მიაღწია მეტად ძნელ გამარჯვებას — 3:2. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს, „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატში“ გამარჯვებულის სახელიც მიუმატა. საბჭოთა კავშირის ნაკრების წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა აგრეთვე თბილისელმა სპორტსმენმაც — ვ. კაჭარავამ.

საბჭოთა ფრენბურთელების გამარჯვების შესახებ მოსულ ცნობას მეორე ცნობაც მოჰყვა. ამჯერად, ახალი ამბავი პარიზიდან მოვიდა. მარსელში, სადაც ახლა ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი მიმდინარეობს, დამტკიცდა ფრენბურთში უახლოეს საერთაშორისო შეჯიბრებათა კალენდარი. მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში ჩატარდება 1962 წელს საბჭოთა კავშირში. კონგრესმა მიიღო საბჭოთა დელეგაციის წინადადება, რომ ჩემპიონატის წინასწარი შეჯიბრებები ჩატარდეს ჩვენი ქვეყნის რამდენიმე ქალაქში, საფინალო ჯგუფის შეხვედრების დაწყება გათვალისწინებულია 1962 წლის 7 ოქტომბერს მოსკოვში. 1963 წელს ევროპის პირველობის ჩატარება დაევალა უნგრეთის ფრენბურთის ფედერაციას.

## გამარჯვებული გამოვლინდა — გათამაშება გრძელდება

### კალათბურთი

მოსკოვის ცსკა-ს კალათბურთელთა გუნდმა თავისი მორიგი კალენდარული შეხვედრა ჩაატარა ლენინგრადში ადგილობრივი „ბურევესტნიკის“ წინააღმდეგ. როგორც თამაშის პირველ, ისე მეორე ნახევარში უპირატესობა არმიელ სპორტსმენთა მხარეს იყო, რომლებმაც მოიგეს მატჩი ანგარიშით 78:54. დარჩენილი შეხვედრების შედეგების მიუხედავად, არმიელმა სპორტსმენებმა უკვე გაინაღდეს სსრ კავშირის 1961 წლის ჩემპიონობა.

საინტერესო ბრძოლები მიმდინარეობს II და III საპრიზო ადგილების მოპოვებისათვის. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებზე პრეტენზიას აცხადებს 4 გუნდი — მოსკოვისა და თბილისის დინამოელები, რიგის სკა და კიევის სკიფი. ამ უკანასკნელმა პირველი წრის შემდეგ, სადაც მან 7-დან 5 ქულა მოაგროვა, სუსტად ჩაატარა მომდევნო მატჩები, რამდენიმე დამარცხება განიცადა და საგრძნობლად გაიუარესა მდგომარეობა სატურნირო ცხრილში.

სამაგიეროდ, ძლიერად ატარებს უკანასკნელ მატჩებს ლენინგრადის „სპარტაკი“, რაზედაც მეტყველებს მისი უკანასკნელი გამარჯვებები ლენინგრადის „ბურევესტნიკზე“ და კაუნასის „ჟალგირისზე“. ამიტომ იყო, რომ გათამაშების ერთ-ერთ ლიდერთან — თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებთან მის შეხვედრას დიდძალი მაყურებელი დაესწრო. მასპინძლები მოედანზე რევანშის აღების სურვილით გამოვიდნენ და თამაშის პირველ წუთებიდანვე გაიმართა საინტერესო სპორტული ბრძოლა. პირველი ტაიმი მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით და დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 42:40.

შესვენების შემდეგ საგრძნობი უპირატესობის მოპოვება ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო და მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ—68:68. დამატებით დროში თბილისელებმა უკეთ ითამაშეს და მიაღწიეს ძნელ გამარჯვებას—80:76.

კაუნასში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ჟალგირისი“ და კიევის სკიფი. კაუნასელი კალათბურთელები ყველაფრით ჯობდნენ მეტოქეებს და გამარჯვებაც მათ ხვდათ წილად — 76:58.

ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ჩასატარებელი დარჩა რამდენიმე მატჩი. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების საკითხს ალბათ გაარკვევს თბილისის „დინამოს“ 2 მატჩი ლენინგრადის „ბურევესტნიკთან“ (ლენინგრადში) და კიევის სკიფთან (თბილისში). მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდებათ რიგის არმიელებს, რომლებიც მოსკოვში უნდა შეხვდნენ ადგილობრივ „დინამოსა“ და ცსკა-ს.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 16 სექტემბრისათვის**

ვაჟები

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა მოსკოვი | 12 | 11 | 1 | 11 |
| „დინამო“ თბილისი | 12 | 8 | 4 | 8 |
| სკა რიგა | 12 | 8 | 4 | 8 |
| „დინამო“ მოსკოვი | 13 | 8 | 5 | 8 |
| სკიფი კიევი | 11 | 6 | 5 | 6 |
| „ჟალგირისი“ კნ. | 13 | 3 | 10 | 3 |
| „ბურ“. ლდ. | 12 | 3 | 9 | 3 |
| „სპარტაკი“ ლდ. | 11 | 2 | 9 | 2 |

## საერთაშორისო მატჩები

მოსკოვის „სპარტაკმა“ თავისი დასკვნითი საერთაშორისო მატჩი დანიაში გამართა ქალაქ ვაილეში, რომელიც დანიის ფეხბურთის საშობლოდ ითვლება. მოსკოველებმა ისაევმა (სამი), ჰუსაინოვმა (ორი), სევიდოვმა, ადამოვმა და ფალინმა რვა გოლი გაიტანეს და გაიმარჯვეს — 8:0.

პოლონეთში ტურნირი დაამთავრა ბაქოს „ნეფტიანიკმა“, რომელიც ბოლო მატჩში შეხვდა ბოგდოშის „ბოლონიას“ და დაამარცხა — 5:2. ამრიგად, ბაქოელებმა ყველა სამი მატჩი მოიგეს პოლონეთში.

## გმადლობთ, მასპინძლებო!

10 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოსვლის შემდეგ მ. ბოტვინიკი და ს. ფლორი გაემგზავრნენ სოხუმში. აფხაზეთის დედაქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია მ. ბოტვინიკის ლექციამ და ს. ფლორის ერთდროული თამაშის სეანსმა, რომლებიც გაიმართა პროფკავშირების რესპუბლიკურ კლუბში. საჭადრაკო საღამოს დაესწრო დიდძალი ხალხი. მსოფლიო ჩემპიონმა პასუხი გასცა მრავალ შეკითხვაზე. ს. ფლორის წინააღმდეგ სათამაშოდ მაგიდებს მიუსხდნენ უძლიერესი მოჭადრაკეები, მათ შორის აფხაზეთის ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი ა. ბრეიტმანი. მაგრამ გროსმაისტერმა, რომელიც 30 დაფაზე თამაშობდა, 20 მოიგო (ჩემპიონთანაც), 9 ყაიმით დაამთავრა და ერთიც წააგო (ჩამბასთან).

მეორე დღეს მ. ბოტვინიკი და ს. ფლორი მიიღო აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. ჩიქოვანმა. ჟურნალისტებთან შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ აფხაზეთის გაზეთების თანამშრომლები, მსოფლიო ჩემპიონმა მოკლედ ილაპარაკა საჭადრაკო მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე. ს. ფლორი კი შეეხო საჭადრაკო ჟურნალისტის საქმიანობას, მკითხველებთან მიწერ-მოწერას.

—არასოდეს დამავიწყდება „ეშერი“, — თქვა მ. ბოტვინიკმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო მეურნეობის „ეშერის“ დათვალიერების შემდეგ.—მეურნეობის დირექტორის, სელექციონერ შ. ჯალაღონიას მიერ გამოყვანილი საზამთროების მსგავსი არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს.

მესამე დღეს მანქანებით მ. ბოტვინიკი და ს. ფლორი ადლერის აეროპორტამდე გააცილეს თბილისისა და სოხუმის სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

გამგზავრების წინ მ. ბოტვინიკმა განაცხადა:

— ბევრი ქვეყანა მინახავს, მაგრამ საქართველოსა და მისი ერთ-ერთი მარგალიტის — აფხაზეთის მსგავსი, არაფერი. საქართველოში არიან მოჭადრაკეები, რომლებისგანაც უნდა სამართლიანად ველოდოთ მაღალი კლასის ოსტატებს, ხოლო საჭადრაკო ჟურნალისა და თბილისში შესაფერისი საჭადრაკო კლუბის გახსნის შემდეგ — გროსმაისტერებსაც. წარუშლელი შთაბეჭდილებებით ვბრუნდები მოსკოვში. დიდი სიამოვნება განვიცადე თქვენთან. გმადლობთ სტუმართმოყვარე, კეთილო მასპინძლებო!

**თ. გიორგაძე,**
თბილისი-სოხუმი-ადლერი.

★

— მართლაც, რამდენი რამის ნახვა მოვასწარი თბილისში,—ამბობს კმაყოფილი ღიმილით მ. ბოტვინიკი და ათვალიერებს იქ, მეგობრებთან გადაღებულ ფოტოსურათებს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

★





# გამოვიტანოთ დასკვნები

23 აგვისტოს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მოეწყო თანამედროვე ხუთჭიდის X მსოფლიო პირველობის დახურვის ცერემონიალი. გამარჯვებულის კვარცხლბეკზე მეოთხეჯერ ავიდა ერევნელი პედაგოგი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. ნოვიკოვი. მის მარჯვნივ აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენი ი. დერიუგინი იდგა, ხოლო მარცხნივ — მესამე ადგილზე გამოსული ახალგაზრდა უნგრელი სპორტსმენი ანდრაშ ბალცო.

ასეთი სპორტული შედეგები თანამედროვე ხუთჭიდში ჯერ არ ყოფილა. საკმარისია ითქვას, რომ საპრიზო ადგილებზე გამოსულმა სამივე სპორტსმენმა გადააჭარბა 5.000 ქულას და საბჭოთა სპორტსმენებმა ქულათა სარეკორდო რაოდენობით (15220) დაიკავეს საპატიო პირველი ადგილი.

ყველაფერი შესანიშნავი იყო ამ პირველობაზე. სპორტსმენების მაღალი მომზადება არითმეტიკულმა ციფრებმა გამოსახეს, მათი სპორტული კულტურა გულთბილმა მაყურებლებმა, შეჯიბრების ორგანიზაცია სპორტსმენთა შესანიშნავმა შედეგებმა. საბჭოთა კავშირის ნაკრები — ი. ნოვიკოვი, ი. დერიუგინი და ბ. პახომოვი, მაგალითია თვითეული ხუთჭიდელისათვის. ეს სამი სპორტსმენი შემთხვევით არ მოხვედრილა საბჭოთა კავშირის ნაკრებში. თვითეული მათგანი მრავალი წლის განმავლობაში ვარჯიშობდა დაუღალავად. განა ადვილია საუკეთესო სამეულში მოხვედრა, როცა შენს უკან ასეულობით ხუთჭიდელია.

საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ საბჭოთა ხუთჭიდელთა სკოლა უძლიერესია. სასიხარულოა ის, რომ საქართველოს ხუთჭიდელებიც ამ სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენლები არიან და ზედმეტი არ იქნება გადავხედოთ ხუთჭიდის მდგომარეობას ჩვენს რესპუბლიკაში, გამოვიყვანოთ სათანადო დასკვნები:

ჯერ კიდევ 1952 წელს, როცა საბჭოთა კავშირში იქმნებოდა ხუთჭიდელთა ჯგუფები, საქართველოს წარმომადგენლები წამყვან ადგილებს იკავებდნენ, ხოლო 1955 წელს საქართველოს გუნდმა საბჭოთა კავშირის პირველობაზე მეორე საპრიზო ადგილიც დაიკავა, ეს დიდი წარმატება იყო ქართველი სპორტსმენებისათვის.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ხუთჭიდმა ასე მაგრად გაიდგა ფეხი ჩვენს ქვეყანაში, მან შესაფერისი გავრცელება ვერ ჰპოვა საქართველოში. ვერ იქნა და ვერ გავიდა იგი თბილისს გარეთ. დასაწყისში იყო ცდები თანამედროვე ხუთჭიდის დანერგვისა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში, მაგრამ იგი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. სად არიან აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ფოთის, რუსთავისა და სხვა რაიონებისა და ქალაქების ენთუზიასტები, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ ხუთჭიდის დანერგვა და ამაღლება? ნუთუ ისინი შეაშინა სიძნელემ, დრომ და გულმოდგინებამ, რომ მიეღწიათ შედეგისათვის. ნუთუ მათ არ იციან, რომ მონდომებით მუშაობა და დრო ძირითადი და აუცილებელი პირობაა სპორტსმენის ჩამოყალიბებისათვის? საქართველოში მუშაობენ მხოლოდ თბილისის ახალგაზრდობის სპორტული სკოლის, „დინამოს“ და „სპარტაკის“ სექციები.

საბჭოთა კავშირის ხალთა II სპარტაკიადის შემდეგ საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება ჩვენს რესპუბლიკაში თანამედროვე ხუთჭიდის ფართო მასშტაბით დანერგვისა და განვითარების შესახებ. ეს დადგენილება ცნობილი იყო ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქის სპორტული ხელმძღვანელებისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციისათვის, რომლებსაც უნდა ეხელმძღვანელად და შეემოწმებინათ ამ ღონისძიების განხორციელება, მაგრამ, როგორც შემდეგში გამოირკვა, დადგენილება დადგენილებად დარჩა, „ხუთჭიდის ბარომეტრს“ კი ისევ თბილისელი სპორტსმენები ამოძრავებენ. ამაში დამნაშავეა ფედერაცია, რომელიც ვერ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე, ვერ გამოიჩინა ხელმძღვანელი ორგანოს როლი, ვერ წარმართა ჩვენი ხუთჭიდელების საქმიანობა, რომლებმაც 1960 წელს საკავშირო პირველობაზე მხოლოდ მე-10 (!) ადგილი დაიკავეს. ფედერაციამ ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა ის მინიმალური მოთხოვნილებები, რომელიც საჭიროა საქართველოში ხუთჭიდის განვითარებისათვის და საქართველოს ნაკრების მომზადებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკას აქვს ყოველგვარი შესაძლებლობა და პირობები, რომ განვავითაროთ ეს სახეობა, მივცეთ ფართო გასაქანი მის ზრდას. იმისათვის, რომ სათანადოდ წარიმართოს მუშაობა თანამედროვე ხუთჭიდში, პირველ ყოვლისა საჭიროა მოწვეულ იქნას რესპუბლიკის აქტივი თანამედროვე ხუთჭიდში, მოვიწვიოთ ყველა, ვინც დაინტერესებულია სპორტის ამ სახეობით.

1963 წელს მოსკოვში გაიმართება სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი ხუთჭიდელებიც. ნუთუ საქართველოს წარგზავნილები სპორტის ამ სახეობაში ისევ უფერულად უნდა გამოიყურებოდნენ?

**ვ. როგავა,**
**„დინამოს“ უფროსი მწვრთნელი თანამედროვე ხუთჭიდში.**

* * *

**ხუთჭიდელთა ახლახან დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ი. ნოვიკოვი მეოთხედ ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე და თავის სპორტულ ნადავლს მსოფლიო ჩემპიონის კიდევ ერთი ოქროს მედალი მიუმატა.**

**სურათზე: ზევით — ი. ნოვიკოვი მძლეოსნურ ტრასაზე, ქვევით — მის მიერ მოპოვებული ოქროს მედალი.**

# თბილისის ნორჩ დინამოელთა გუნდი II ადგილზე

[illegible]ლისში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში დაიწყო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ფეხბურთში მოზარდთა გუნდებს შორის, რომელშიც მონაწილეობდა 24 გუნდი, მათ შორის თბილისის „დინამოს“ ნორჩი ფეხბურთელები.

20-დან 27 აგვისტომდე ტამბოვში ჩატარდა ფინალური თამაშები, სადაც შეიკრიბა წინასწარ თამაშებში გამარჯვებული 8 გუნდი. ისინი დაყოფილი იყო 2 ქვეჯგუფად. ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ I-II ადგილის გამოსავლინებლად.

I ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს თბილისის ნორჩმა ფეხბურთელებმა, ხოლო II ქვეჯგუფში — მოსკოველებმა.

მოსკოვისა და თბილისის ნორჩ დინამოელთა შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. თამაში მეტად საინტერესოდ ჩატარდა. ძირითად დროში ვერცერთმა გუნდმა ვერ შეძლო ბურთის გატანა. დამატებით დროში მოსკოველებმა გაიტანეს ორი გოლი და გაიმარჯვეს კიდეც ანგარიშით 2:0.

ამრიგად, I ადგილი დაიკავეს მოსკოველებმა. თბილისის ნორჩი დინამოელები II ადგილზე გამოვიდნენ.

**ო. უშვერიძე**



# ჟილდო — „დინამოს“

მოცურავეთა რესპუბლიკური შეჯიბრების უკანასკნელი დღე დაეთმო ესტაფეტებს, პირველად სტარტზე გამოვიდნენ თავისუფალი სტილით 4×100 მეტრზე მოცურავე ქალები. აქ უძლიერესი იყო „დინამოს“ პირველი გუნდი, რომელმაც აჩვენა 5.21,8 წ. ამ საზოგადოების გუნდის გამარჯვებით დამთავრდა სხვა გაცურვებიც. ვაჟებმა ესტაფეტა თავისუფალი სტილით 4×200 მეტრზე გაცურეს 9.53,7-ში და საგრძნობლად მოუგეს მეორე ადგილის მფლობელ „ბურევესტნიკის“ კოლექტივს. ქალთა კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე პირველი და მეორე ადგილები შესაბამისად დაიკავეს „დინამოს“ პირველმა და მეორე გუნდებმა, რომლებმაც აჩვენეს 5.53,8 და 6.07,2, ხოლო ვაჟთა ამავე სახეობის ცურვაში „დინამოს“ პირველ კოლექტივს 8,4 წამით ჩამორჩა „ბურევესტნიკის“ გუნდი, რომლის შედეგია 4.59,5.

შეჯამდა ოთხდღიანი ბრძოლის შედეგები, რის შემდეგ გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: „დინამოს“ პირველი კოლექტივი, „ბურევესტნიკი“, „განთიადი“. ამრიგად, საქართველოს სპორტკავშირის პრიზის მფლობელები მეორედ გახდნენ „დინამოს“ მოცურავეები. მაგრამ მთავარი შეჯიბრების ტექნიკური ანგარიში კი არა, მისი ორგანიზაციაა, რაც პირველივე დღიდან არასახარბიელო შთაბეჭდილებას ტოვებდა მაყურებლებზე.

ჯერ იყო და შეჯიბრებაზე გუნდები არ გამოიყვანეს „სპარტაკმა“ და არმიის სპორტულმა კლუბმა, ისინი მხოლოდ თითო-ოროლა სპორტსმენის მონაწილეობით დაკმაყოფილდნენ, რამაც თავისებური დაღი დაასვა შეჯიბრების შედეგებსაც.

არა სათანადოდ იყო ორგანიზებული ღონისძიებაც. მონაწილე გუნდების უმეტესობა გულგრილად მოეკიდა საქმეს, შეჯიბრების გახსნის აღლუმზე ალმების გარეშე გამოცხადდნენ „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ კოლექტივები, ხოლო დახურვაზე შეჯიბრებაში მონაწილე 7 გუნდიდან მხოლოდ გამარჯვებულმა კოლექტივებმა მიიღეს მონაწილეობა.

არც მსაჯთა საქმიანობაში იყო ყველაფერი რიგზე, ისინი თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ აუცილებელი განმასხვავებელი ნიშნების გარეშე, რის გამო ძნელი იყო მათი მაყურებლებისაგან გარჩევა. მათივე მიზეზით იყო ისიც, რომ განთიადელი მ. კონოვალოვა (აფხაზეთი), რომელმაც პირველი ადგილი მოიპოვა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, ქუთაისელად „მოინათლა“.

არაფერს ვამბობთ მონაწილეთა მიერ ნაჩვენებ არასახარბიელო შედეგებზე, რადგან ამის შესახებ საკმაოდ ვთქვით წინა წერილებში, სამაგიეროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სასურველი იქნებოდა ეს ღონისძიება უფრო მასობრივ ხასიათს ატარებდეს და სპორტსაზოგადოებათა გუნდების გარდა მასში მონაწილეობას ღებულობდნენ ოლქებისა და ქალაქების სხვა სპორტსმენებიც.

ცურვის ფედერაციამ ყველა ეს და სხვა მათთვის უკვე ცნობილი შენიშვნები უნდა გაითვალისწინონ.

# გამარჯვებულნი დაბრუნდნენ

წელს, მაისის თვეში ჩატარდა თბილისის სპორტსკოლის უმცროსი ასაკის მძლეოსანთა შეჯიბრება ოთხჭიდში.

ამ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის არტეკის საგზური მიეცათ 78-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ლ. საფრანსა და 66-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ქ. ლოლაძეს. არტეკში ჩატარდა სპარტაკიადა. განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა თბილისელმა ლ. საფრანმა, რომელმაც 5 ოქროსი და 1 ვერცხლის მედალი ჩამოიტანა. მან გაიმარჯვა 60 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, ოთხჭიდში და ბურთის ტყორცნაში. იგი აგრეთვე ფრენბურთში გამარჯვებული გუნდის წევრია. წარმატებას მიაღწია ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარგზავნილმაც — ქ. ლოლაძემ. მან მოიპოვა ოქროს მედალი 60-მეტრზე რბენაში, ვერცხლის მედალი კი — სიგრძეზე ხტომაში.

**ი. ხაზეიშვილი**

# ახალგაზრდობის ძალებით

აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს, შრომასთან ერთად უყვართ სპორტი. კოლმეურნე სპორტსმენები წარმატებით გამოდიან რაიონის პირველობაზე გამართულ შეჯიბრებებში.

მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში აქ ახალგაზრდობის ძალებით მოეწყო ფეხბურთის კარგი სტადიონი, სტადიონის მოწყობაში აქტიურად იშრომეს რ. ჟორდანიამ, გ. ჭანტურაიამ, ო. ჭანტურაიამ, რ. ქვილითაიამ, ი. ცომაიამ და სხვებმა.

ახალ სტადიონზე ხშირად იმართება შეხვედრები მეზობელი სოფლების ფეხბურთელებთან.

**გ. გვაზავა**

**ჩვენი გაზეთის ამა წლის № 134-ში გამოქვეყნებული იყო ფეხბურთში საქართველოს პირველობის გათამაშების საბოლოო ცხრილი (მეორე ჯგუფი) მეათე ზონის გუნდებისათვის. ცხრილის თანახმად ზუგდიდის გუნდებს — „განთიადსა“ და „სამეგრელოს“ ჩატარებული 6-6 თამაშიდან თითო მოგება აქვთ (ისიც მოწინააღმდეგე გუნდის გამოუცხადებლობის გამო)**



**და 5 წაგება თვითეულს. ამასთან ორივე გუნდის ბურთების შეფარდებაა 0:0.**

**„საქენერგოპროექტის“ თანამშრომლებს გორკელიძეს, კორძაძეს, ბუაჩიძესა და ზვიადაძეს აინტერესებთ: როგორ შეიძლება გუნდმა წააგოს 5 შეხვედრა ისე, რომ თავის კარში არ მიიღოს ბურთი?**

ზუგდიდის აღნიშნული გუნდების მიერ ჩატარებული თამაშები, იმის გამო, რომ მათ განაცხადებში იყვნენ ზუგდიდის „ოდიშის“ ფეხბურთელები, გაუქმებულ იქნა, ამასთან გაუქმებულ იქნა მიღებული და გატანილი ბურთების შეფარდებაც.

(გაგრძელება)

ნით კატეგორიაში სულ 12 წყვილი გამოდიოდა. სამაგიეროდ, გაიზარდა წმინდა მოგებათა რიცხვი და თითქმის სავსებით გაქრა ფრე.

როგორ წარიმართა შეხვედრები პირველ წრეში? უმძიმეს წონაში ყურადღების ცენტრში იყო ზ. შეყრილაძისა და ზაპოროჟიელი სპორტსმენის, საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონის ს. რიბალკოს ბრძოლა. შეყრილაძემ პირველად სცადა ძალები კლასიკურ ჭიდაობაში ასეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრებაზე და, უნდა ითქვას, რომ იგი ცუდად არ გამოსულა, მაგრამ ახალი წესები მთელი თავისი სიმკაცრით პირველად მას „დაატყდა თავზე".

ტემპიან ბრძოლაში შეყრილაძემ დაჩაგრა თავისი მოწინააღმდეგე და მიიღო ქულა, რომელიც მას გამარჯვების გარანტიას აძლევდა. ისეთ ძლიერ მეტოქესთან, როგორიცაა რიბალკო, ერთი ქულა ყველაფერს ნიშნავს და აი ახალგაზრდა, უდავოდ ნიჭიერმა მოჭიდავემ სცადა ამ ქულის შენარჩუნება. ეს გადაწყვეტილება მას ძვირად დაუჯდა. შეხვედრის დამთავრებას 40 წამი აკლდა, როდესაც მან მიიღო მეორე გაფრთხილება (პირველი გაფრთხილება ორთავე სპორტსმენს ქონდა მიღებული) და მოიხსნა შეხვედრიდან. რიბალკომ, რომელიც აგებდა შეხვედრას ქულებით, წმინდა გამარჯვება ჩაიწერა — ასეთი ულმობელია ახალი წესები.

# საკავშირო პირველობა ქუთაისში

სხვა მხრივ უმძიმეს წონაში „ყველაფერი გეგმის მიხედვით" ჩატარდა. მსოფლიო ჩემპიონის ა. საიადოვის მეტოქეს მინსკელ ო. ლაქტიონოვს დამარცხება მიესაჯა (მე-8 წუთზე). საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ი. კოჩერგინმა წმინდად მოუგო სპარტაკელ ვ. მოროზოვს.

ქვემსუბუქ წონაში კარგი შთაბეჭდილება დასტოვა „კოლმეურნის" მოჭიდავემ რ. რურუამ. მისი მოწინააღმდეგე რუსეთის ფედერაციის ჩემპიონი გ. საპუნოვი (სკა) ფიზიკურად კარგად იყო მომზადებული, მაგრამ რურუამ ტემპიანი ბრძოლით მას დასაწყისიდანვე წაართვა ინიციატივა და მეტად საჭირო სამი ქულა გაუკეთა. შემდგომში რურუა კვლავ აქტიური იყო. მას შეეძლო ბრძოლის მოგება აშკარა უპირატესობით, მაგრამ არ ეყო არც დრო და არც გამძლეობა. დინამოელმა გ. ესებუამ ქულებით წააგო ბრძოლა ტრუდელ ს. პეტრენკოსთან. ფრედ დაამთავრა თავისი შეხვედრა ა. ჩიხლაძემ („სპარტაკი") ი. მისტულოვთან („ლოკომოტივი"). ნუცუბიძე პირველ წრეში ისვენებდა.

როგორც ყოველთვის, ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. სტაშკევიჩმა („დინამო"). მისი მეტოქე ფ. სარქისოვი 3 წუთის შემდეგ ბეჭებზე იყო გაკრული.

ქვესაშუალო წონაში ორივე ჩვენი მოჭიდავე დამარცხდა. ტ. კარიჭაშვილმაც („ბურევესტნიკი") და ცანავამაც („კოლმეურნე") წმინდა დამარცხება განიცადეს. პირველმა წააგო ბრძოლა ნ. კორსაკოვთან („ავანგარდი"), ხოლო მეორემ დინამოელ ნ. პერეუოგინთან. აქ სხვებზე უკეთაა მომზადებული ნ. ჩუჩალოვი („კრასნოე ზნამია").

ქვემძიმე წონაში (ახალი წესებით მასში გაერთიანებული არიან 87-97 კგ წონის მოჭიდავეები) სულ 10 სპორტსმენი გამოდის. თავისი პირველი ბრძოლა გ. სი[illegible]რიძემ („განთიადი") ქულებით მოუგო სპარტაკელ [illegible]. [illegible] გამარჯვება [illegible] დინამოელ [illegible] („დინამო"). მისი მოწინააღმდეგე ვ. რომანოვი („ბურევესტნიკი") პასიურობისათვის მოიხსნა.

მეორე წრეში ა. შეყრილაძე შეხვდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონს კოჩერგინს. ორთაბრძოლა პასიურად დაიწყო, რის გამო ორივემ გაფრთხილება მიიღო. შემდგომში ჭიდაობას მწვავე ხასიათი მიეცა, კოჩერგინმა ჯერ ერთი და შემდეგ მეორე ქულა მოიპოვა. შერკინების ბოლო წუთზე ა. შეყრილაძემ კოჩერგინის ხიდზე გადაყვანა მოახერხა და ქულები გათანაბრდა. ორთაბრძოლა დამთავრდა ფრედ. ა. შეყრილაძეს 6 საჯარიმო ქულა დაუგროვდა და შეჯიბრებიდან გავიდა. ამავე წონაში საქართველოს მოჭიდავეთა მეორე წარმომადგენელი — ქეიშვილი, სუფთად დამარცხდა საიადოვთან.

ქვემსუბუქ წონაში რურუამ სუფთად მოუგო მიტროფანოვს, ესებუამ წააგო ჯავახოვთან.

შეჯიბრება დამთავრდება 17 სექტემბერს...

**ნ. ბუზუშვილი,**
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

* * *



სურათზე: რ. რურუა („კოლმეურნე") — ზემოდან და დ. საპუნოვი (საბჭოთა არმია) ჭიდაობის დროს.

## XXIX ჩემპიონატის წინ

21 ნოემბერს ბაქო მიიღებს XXIX საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილეებს, რომლებიც ჩავლენ იქ საბრძოლველად ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლისათვის. როგორც ცნობილია, ჩემპიონატში პერსონალურად მიწვეული არიან მ. ბოტვინიკი, მ. ტალი და ტ. პეტროსიანი. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა უარი განაცხადა მონაწილეობაზე. მის მაგიერ ფინალში დაშვებულია გროსმაისტერი ი. ავერბახი, რომელმაც ჰაბუკთა მსოფლიო პირველობაზე ჰოლანდიაში მოსკოველი ა. კუინჯის მწვრთნელად ყოფნის გამო ვერ შეძლო მონაწილეობა შესარჩევ ტურნირში.

დანარჩენი ფინალისტების გამოსავლინებლად გაიმართა შესარჩევი ტურნირები. ბათუმიდან და ნოვგოროდიდან ფინალში გავიდნენ გროსმაისტერი რ. ხოლმოვი, ოსტატები ბ. გურგენიძე, ა. გიპსლისი და ვ. სავონი (ხარკოვი).

მოსკოვის პირველობიდან ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ორი მონაწილე — გროსმაისტერი დ. ბრონშტეინი და ოსტატი ლ. შამკოვიჩი, რომლებმაც I-II ადგილები გაიყვეს. კიდევ ორი მონაწილის გამოსარკვევად დაინიშნა მატჩ-ტურნირი ლ. არონინს, ე. ვასიუკოვსა და ა. ხასინს შორის. თითქმის იგივე სურათია რსფსრ-ს პირველობაზეც. ფინალში მოხვდა მხოლოდ გროსმაისტერი ლ. პოლუგაევსკი (კუიბიშევი), რომელმაც რუსეთის ფედერაციის ჩემპიონობა მოიპოვა. კიდევ ორი ფინალისტი უნდა გამოვლინდეს ოსტატების რ. ნეჟმეტდინოვის (ყაზანი), ვ. ანტოშინის (მოსკოვის ოლქი), ა. ლეინის (ლენინგრადის ოლქი), გ. ბორისენკოს (სვერდლოვსკი) და ლ. ბელოვის (ომსკი) მატჩ-ტურნირში. უკრაინის პირველობიდან ფინალში ითამაშებენ ოსტატები უკრაინის ჩემპიონი ა. კოცი (სტალინო) და ვ. შიაშოვსკი (კიევი).

შესარჩევი ტურნირის მნიშვნელობისაა აგრეთვე ლენინგრადის პირველობაც, რომელიც დასასრულს უახლოვდება. XIII ტურის შემდეგ ფინალში მოხვედრის (დაშვება მხოლოდ სამი გამარჯვებული) რეალური შანსები აქვთ გროსმაისტერებს მ. ტაიმანოვს, ბ. სპასკის, ოსტატებს ი. ონისსა და ა. არცუკევიჩს.

## გათამაშების ცხრილები

### I-X ადგილები

მდგომარეობა 16 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 23 | 15 | 5 | 3 | 45—19 | 35 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 23 | 16 | 2 | 5 | 52—27 | 34 |
| ც ს კ ა | 23 | 15 | 3 | 5 | 57—32 | 33 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 22 | 12 | 5 | 5 | 43—24 | 29 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 21 | 10 | 8 | 3 | 39—23 | 28 |
| „დინამო" (თბილისი) | 23 | 11 | 6 | 6 | 41—25 | 28 |
| „სპარტაკი" (ერევანი) | 23 | 9 | 9 | 5 | 32—28 | 27 |
| „ავანგარდი" (ხარკოვი) | 23 | 10 | 6 | 7 | 22—20 | 26 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 22 | 9 | 6 | 7 | 33—39 | 24 |
| ს კ ა (როსტოვი) | 23 | 9 | 5 | 9 | 41—26 | 23 |

* * *

**მოსკოვი. 15 სექტემბერი.** არმიელთა ორი გუნდის, ადგილობრივი ცსკა-სა და როსტოვის სკა-ს მატჩი, რომელიც აქ გაიმართა, დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

**ერევანი. 15 სექტემბერი.** ადგილობრივმა „სპარტაკმა" მიიღო ხარკოვის „ავანგარდი" და დაამარცხა იგი ანგარიშით 3:0.

**კიევი. 15 სექტემბერი.** აქ ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონზე თამაშობდნენ გათამაშების ლიდერები — კიევის „დინამო" და მოსკოვის „ტორპედო".

მატჩი დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით — 2:0.

## „ა" კლასში

### XI-XXII ადგილები

მდგომარეობა 16 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 24 | 11 | 6 | 7 | 40—31 | 28 |
| „შახტიორი" (სტალინო) | 24 | 9 | 6 | 9 | 32—26 | 24 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 25 | 8 | 7 | 10 | 32—33 | 23 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 24 | 6 | 10 | 8 | 27—36 | 22 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 24 | 8 | 6 | 10 | 30—39 | 22 |
| „ადმირალტეეცი" (ლენინგრადი) | 24 | 7 | 6 | 11 | 32—37 | 20 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 24 | 7 | 5 | 12 | 37—47 | 19 |
| „კაირატი" (ალმა-ატა) | 24 | 7 | 5 | 13 | 26—44 | 19 |
| „ბელარუსი" (მინსკი) | 24 | 5 | 7 | 12 | 21—36 | 17 |
| „დაუგავა" (რიგა) | 24 | 4 | 6 | 14 | 24—47 | 14 |
| „სპარტაკი" (ვილნიუსი) | 24 | 3 | 5 | 16 | 19—54 | 11 |
| „კალევი" (ტალინი) | 24 | 1 | 8 | 15 | 16—48 | 10 |

* * *

**ლენინგრადი. 13 სექტემბერი.** აქ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი XI-XXII ადგილებისათვის მებრძოლ გუნდებს ადგილობრივ „ზენიტსა" და „ადმირალტეეცს" შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

### „რიწა" (სოხუმი)-„ლორი" (კიროვაკანი) — 2:4

ცუდი ამინდი შეხვდათ ამ დღეს ფეხბურთელებს. წვიმდა, მაგრამ ამას ვერ მივაწერთ მასპინძელთა დამარცხებას. „რიწის" შემადგენლობაში კვლავ არ თამაშობდნენ ზარდანია და კურტანიძე, მაგრამ მათ გარეშე ხომ მოიგეს სოხუმელებმა წინა თამაში, ახლა კი თითქმის უბრძოლველად დაჰყარეს იარაღი.

ამ დღეს სოხუმელთა თამაშში არ იგრძნობოდა ის ცეცხლი და ენერგია, რაც მათ ახასიათებთ. სამაგიეროდ დიდი ალმაცლობით თამაშობდნენ სტუმრები და უკვე მატჩის დასაწყისში (მე-2 და მე-5 წუთზე) ზედიზედ ორი გოლი გაიტანეს. შემდეგში „რიწამ" ერთგვარად გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ მოწინააღმდეგეს არ მისცა ახალი წარმატების მოპოვების საშუალება, ხოლო შესვენების შემდეგ მარჯვენა გარემარბმა ფიფიამ ერთი გოლი გაქვითა კიდეც.

დარჩენილ დროში კვლავ სწრაფ ტემპში და აგრესიულად თამაშობდა „ლორი", ხშირად ქმნიდა სახიფათო მომენტებს. სოხუმელთა დაცვა თამაშობდა გულგრილად და კიდევ ორი გოლი მიიღო საკუთარ კარში. მხოლოდ მატჩის დასასრულს ცენტრალურმა თავდამსხმელმა მინჯიამ გაიტანა მეორე გოლი.

„რიწა" დამარცხდა — 2:4. ეს მათი პირველი წაგებაა საკუთარ მოედანზე.

**ზ. გვილავა**

### „ლოკომოტივი" (თბილისი)-„ნისტრული" (ბენდერი) — 5:1

გუშინდელ მატჩში, რომელიც თბილისში „ბურევესტნიკის" სტადიონზე გაიმართა, ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" წინა შეხვედრასთან შედარებით უკეთესი თამაში აჩვენა. იგი მოწინააღმდეგეს ჯობდა ყველა რგოლში და უკვე პირველ ნახევარში დაწინაურდა — 2:1.

შესვენების შემდეგ ტაიმის მეხამედი დროც არ იყო გასული, რომ ანგარიშმა უკვე 5:1 მიაღწია. (გოლები გაიტანეს აპრესიანმა და შავდიამ — 2-2, ივანოვმა — 1. სტუმრებიდან საპასუხო გოლის ავტორია ფედორენკო).

## მატჩი ტაშკენტში

**ტაშკენტი. (ტელეფონით).** გუშინ აქ შედგა ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობის მორიგი კალენდარული მატჩი პირველი ათეულის გუნდებისათვის. თამაშობდნენ ადგილობრივი „პახტაკორი" და თბილისის „დინამო".

შეხვედრა დაიწყო მასპინძელთა მძლავრი იერიშებით. შუა ტაიმში თბილისელებმა თამაში გაათანაბრეს და უპირატესობაც კი მოიპოვეს. 45 წუთი ისე გავიდა, რომ მოწინააღმდეგეებმა ვერ შეძლეს ანგარიშის გახსნა.

მეორე ტაიმი არ ჰგავდა პირველს. დინამოელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და იგი თამაშის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ. ჯერ კალოევმა, შემდეგ მესხმა, იამანიძემ და დათუნაშვილმა ოთხი ბურთი გაიტანეს „პახტაკორის" კარში. თითქოს მატჩი ამ ანგარიშით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ „პახტაკორის" ერთ-ერთი ეპიზოდური შეტევა კრასნიცკიმ დინამოელთა კარის აღებით დაამთავრა.

გამარჯვება თბილისის „დინამომ" ანგარიშით 4:1.

## ა. ჰარი — ჩოგბურთელი

ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი 100 მეტრზე რბენაში არმინ ჰარი საავტომობილო კატასტროფაში მოყვა და მძიმედ დაზიანდა. მკურნალობა რამდენიმე თვეს გაგრძელდა. გამოჯანმრთელებულმა ა. ჰარიმ განაცხადა, რომ იგი აღარ ირბენს, ვინაიდან ტრავმა მას საშუალებას არ აძლევს აჩვენოს მაღალი შედეგები. ერთადერთი სპორტული სახეობა, რომელსაც ამჟამად მისდევს ა. ჰარი, ჩოგბურთი და მაგიდის ჩოგბურთია. მსოფლიო რეკორდსმენს გადაწყვეტილი აქვს გამოვიდეს ჩოგბურთელთა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში.

# აკრძალვა გაუქმებულია

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებამ კლუბებში უცხოელ მოთამაშეთა რაოდენობის შეზღუდვის შესახებ (თვითეულს ნება მიეცა ჰყოლოდა მხოლოდ 2 უცხოელი) დიდი მითქმა-მოთქმა და აურზაური გამოიწვია. ეს ფაქტიურად მოასწავებდა უმდიდრესი კლუბების გაკოტრებას, მაგრამ მათ საკმაოდ იოლად მიაღწიეს ამ კანონის გაუქმებას. ფეხბურთის ფედერაციის სამართლიანი მოთხოვნილების წინააღმდეგ გამოვიდა იტალიის მთავრობა. პარლამენტში ცხარე კამათის დროს დეპუტატების შეკითხვაზე კულტურისა და ტურიზმის მინისტრმა (რომელიც სპორტის საქმეებს განაგებს) განაცხადა, რომ „უცხოელი მოთამაშეები სტიმულს აძლევენ ახალგაზრდა ეროვნული კადრების აღზრდას".

კლუბების მეპატრონეებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. როგორც გაზეთი „უნიტა" იუწყება, აკრძალვის გაუქმება და გენუას „სამპდორიის" მიერ ორი ცნობილი იუგოსლაველი მოთამაშის შეძენა ერთი იყო. ესენი არიან ნახევარმცველი ბოჟკოვი და ფორვარდი ვესელინოვიჩი, რომელთაც არა ერთხელ უთამაშიათ იუგოსლავიის ნაკრებში. განსაკუთრებით საინტერესო სურათია „რომაში", მის თავდასხმაში თამაშობენ აბატინი (არგენტინა) — სკიაფინო (ურუგვაი) — მანფრედინი (არგენტინა) — ანჯელილო (არგენტინა) — და კოსტა (ბრაზილია). მეორე მარცხენა გარემარბია შვედი სელმოსონი. ამგვარად, გაძლიერებულ „რომას" ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ბოლოსდაბოლოს დედაქალაქის გუნდი წარმატებას მიაღწევს ეროვნულ ჩემპიონატში, მით უმეტეს, რომ იგი ახლა ერთადერთია რომიდან პირველ ლიგაში, რადგან „ლაციომ" მეორეში გადაინაცვლა.

## ევროპის ჩემპიონთა თასზე

ხოჟუვის (პოლონეთი) სტადიონზე გაიმართა მატჩი ევროპის ჩემპიონთა თასზე. ზაბჟეს „გურნიკმა" მიიღო ინგლისის ჩემპიონი „ტოტენჰემ ჰოტსპური" და დამარცხა — 4:2.

გლაზგოში თამაშობდნენ საფრანგეთის ჩემპიონი „მონაკო" და შოტლანდიის ჩემპიონი „გლაზგო-რეინჯერსი". ფრანგები, რომლებმაც პირველი მატჩი წააგეს — 2:3, ყოველ ღონეს ხმარობდნენ მიეღწიათ რევანშისათვის. შესვენებამდე ანგარიში გახსნეს ფრანგებმა. მეორე ნახევარში შოტლანდიელებმა სამი ბურთი გაიტანეს, საკუთარ კარში მიიღეს ერთი და გაიმარჯვეს—3:2. ამრიგად, „გლაზგო-რეინჯერსი" გავიდა გათამაშების მეორე წრეში.



20 სექტემბერს ვენაში შეიკრიბებიან ჩვენი სამყაროს ყველაზე ღონიერი ადამიანები, დაიწყება სიმძიმეებთან ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტულისათვის. 35-მა ქვეყანამ განაცხადა ვენის ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი, რომელთა შორის არიან პირველობის პრეტენდენტები — სსრ კავშირი, აშშ, აგრეთვე იაპონია, პოლონეთი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთი და სხვ.

# ვენა მოუხმობს ძალოსნებს

სსრ კავშირი—აშშ. აი ამ ორი კონტინენტის უძლიერეს შტანგისტთა შორის გაიმართება ძირითადი ბრძოლა მსოფლიოში ყველაზე ღონიერი გუნდის სახელისათვის. მაგრამ მსოფლიოს სპორტული პრესა და ძალოსნობის გამოჩენილი სპეციალისტები გამარჯვებას უკვე ჩვენს ძალოსნებს უწინასწარმეტყველებენ.

შეძლებს თუ არა რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ამერიკელი ჩ. ვინჩი დუბლი გააკეთოს. თუ კი მოსკოვსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში მან არც თუ ისე მაღალი შედეგი აჩვენა, 2-ჯერ 0 შეფასება მიიღო, იგი მაინც რჩება მსოფლიო ჩემპიონობისათვის მებრძოლთა ძირითად ბირთვში. ჩ. ვინჩის ვენაში ბრძოლა მოუხდება ვ. სტოგოვთან, რომის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელ იაპონელ ი. მიაკესთან. აქ უპირატესობას მაინც იაპონელს ანიჭებენ, რადგან მან მიმდინარე წლის დასაწყისში კლასიკურ სამჭიდში 2,5 კგ წაუმატა ვ. სტოგოვის მსოფლიო რეკორდს, მაგრამ ვინ იცის რას ფიქრობენ ამ წონითი კატეგორიის სხვა უძლიერესი ძალოსნები — ე. კხანი (ირანი). მ. ზიანკოვსკი (პოლონეთი). ი. ფელდი (უნგრეთი).

ქვემსუბუქ წონაში უპირატესობა ჯერჯერობით ამერიკელ ი. ბერგერის მხარეზეა, რომელიც დღესდღეობით 3 მსოფლიო რეკორდს ფლობს. მიმდინარე წელს მას შესამჩნევად დაბალი შედეგები აქვს, მაგრამ კვლავ მოსალოდნელია ამერიკელისა და საბჭოთა ძალოსან ე. მინაევის დაძაბული ბრძოლა ჩემპიონობის სახელისათვის. თუ კი ი. ბერგერმა სამჭიდში მსოფლიო რეკორდი (372,5) ამ სამი წლის წინათ დაამყარა, ეს შედეგი საბჭოთა სპორტსმენმა გასულ წელს, რომის ოლიმპიურ თამაშებში გაიმეორა და მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი, მიმდინარე წელს ორივე ძალოსანმა აჩვენა ერთნაირი შედეგი— 362,5 კგ. ამ ორ სპორტსმენს ადვილად არ დაუთმობენ პირველ ადგილს XVII ოლიმპიური თამაშების პრიზიორი იტალიელი ს. მანირონი, კორეელი კიმ ხაე ნამა და იაპონელი ი. ფურუიამა.

მსუბუქ წონაში ჩვენი მძლეოსნების გამარჯვება ეჭვს არ იწვევს, 4-ვე მსოფლიო რეკორდი საბჭოთა სპორტსმენებს ეკუთვნით — ვ. კაპლუნოვს — 133,5 (აჭიმვაში), ა. ჟგუნს — 129 და 161,5 კგ (ატაცსა და აკვრაში) და ს. ლოპატინს — 407,5 (სამჭიდში). ყველა ეს რეკორდი დამყარებული იქნა მიმდინარე წელს, მაგრამ ამ 4 ძალოსნიდან ჯერ კიდევ გარკვეული არაა ვინ დაიცავს ჩვენი ქვეყნის სპორტულ სახელს ვენის ჩემპიონატში.

ქვესაშუალო წონის მსოფლიოში ძლიერმა ძალოსნებმა შვებით ამოისუნთქეს, როცა სახელგანთქმული ამერიკელი სპორტსმენი ტ. კონო ზემო წონაში „გადასახლდა". იგი 8-ჯერ გამოვიდა მსოფლიოს უძლიერეს ძალოსანთა შეჯიბრებაში და ამდენჯერვე დადგა გამარჯვებულთა კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე. ამერიკელი სპორტსმენი საშუალო წონაში ისე გადავიდა, რომ ძლიერი მემკვიდრე არ დაუტოვებია. ამ წონაში პრიორიტეტი საბჭოთა სპორტსმენებს ეკუთვნით. ორი სპორტსმენი — ფ. ბოგდანოვსკი და ა. კურინოვი ორხივე მსოფლიო რეკორდის მფლობელია. პირველი — აჭიმვაში, ხოლო მეორე ატაცში, აკვრასა და სამჭიდში. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლა ალბათ უმთავრესად გაიმართება ა. კურინოვსა და უნგრელ დ. ვერეშს შორის, რადგან 1961 წელს ეს ორი სპორტსმენი აღწევს მეტად მაღალ შედეგს.

რასაკვირველია, ყველაზე საინტერესო ბრძოლა გაიმართება საშუალო წონაში ამერიკელ ტ. კონოსა და საბჭოთა სპორტსმენ რ. პლიუკფელდერს შორის. ამერიკელი ახლაც სინანულით იგონებს რომის ოლიმპიურ თამაშებს, სადაც დამარცხება განიცადა ა. კურინოვთან ბრძოლაში. მაშინ ტ. კონომ განაცხადა: — „მე ბუნებით ნამდვილი სპორტსმენი ვარ და ჩემთვის დიდი უბედურება იქნება სარბიელი დავტოვო დამარცხებულმა". თუ კი ამერიკელი მოიგებს ვენის ჩემპიონატს, იგი 9-გზის მსოფლიო ჩემპიონი იქნება. ეს იქნება სპორტის ისტორიაში უმაგალითო გმირობა, მაგრამ ტ. კონოსათვის ამის გაკეთება არც თუ ისე იოლი საქმეა.

ქვემძიმე წონაში უპირატესობას ანიჭებენ პოლონელ ი. პალინსკის, ზანგ ძალოსანს ლ. მარტინს (დიდი ბრიტანეთი), ამერიკელ ქ. ეჯრიჩსა და საბჭოთა სპორტსმენს ა. ვორობიოვს. მაგრამ პირველობისათვის ბრძოლა მოსალოდნელია ა. ვორობიოვსა და ი. პალინსკის შორის.

მძიმე წონაში ყველაფერი ნათელია. ჩვენი ფენომენალური ი. ვლასოვი ალბათ პირველ ადგილს არავის დაუთმობს. ამაზე მეტყველებს ამ ცოტა ხნის წინათ მის მიერ გაუმჯობესებული მსოფლიო რეკორდი აკვრაში — 206 კგ, პარადი შედეგები აჭიმვასა (181 კგ) და ატაცში (158 კგ). მსოფლიოს სპორტული მიმომხილველები და სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ი. ვლასოვი ვენაში მიუახლოვდება 550 კგ-ს.

ვინ იქნება ჩვენი ძალოსნის კონკურენტი ამ წონაში? ამერიკელი სპორტსმენი — მსოფლიოს რეკორდსმენი ატაცში ნ. შემანსკი, შეიძლება მან ერთგვარი მეტოქეობა გაუწიოს საბჭოთა სპორტსმენს.

რაც შეეხება მასპინძლებს, უნდა ითქვას, რომ ავსტრიელი სპორტსმენები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თითქმის გაქრნენ საერთაშორისო სარბიელიდან. სპორტის ამ სახეობის განვითარებაში ავსტრიამ დიდი წვლილი შეიტანა. პირველი მსოფლიო ჩემპიონატი (1898) ვენაში მოეწყო და გამარჯვებული გამოვიდა ამ ქვეყნის წარმომადგენელი მძიმე წონის (150 კგ) ვ. ტიურკი (1905 წლამდე მსოფლიო ჩემპიონატები ტარდებოდა წონითი კატეგორიების გარეშე), ხოლო შემდეგ მსოფლიოში უძლიერესი სპორტსმენები იყვნენ: ავსტრიელები ქ. სვობოდა, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ანდრისეკი, რიხტერი, ჰაასი, ჰიპფინვერი, ჰალა და სხვ. ეს იყო წინათ. ამჟამად ავსტრია ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს უძლიერეს გუნდებს. ავსტრიელებს წარმატების მოპოვება შეუძლიათ მხოლოდ ჩემპიონატის კარგ ორგანიზაციაში, მონაწილეთა გულთბილ მიღებაში.

**ზ. დაშნიანი**



* * *

**სურათებზე:** მარცხნივ — ამერიკელი ტ. კონო ინტერვიუს აძლევს ჟურნალისტებს. ზანგი ძალოსანი ლ. მარტინი (დიდი ბრიტანეთი) და მისი მწვრთნელი რ. აილენდი შეჯიბრების წინ. ჩვენმა მოსკოველმა ფოტორეპორტიორმა ვ. ტუტოვმა ეს სურათები გადაიღო ძალოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების „მოსკოვის თასის" დროს.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

„ბურევესტნიკის" სტადიონი

ფეხბურთი

**დ ღ ე ს!**

„დინამო" (თბილისი)-
„ზენიტი" (ლენინგრადი)
(დუბლშემადგენლობანი)
დასაწყისი 17 საათზე.

**ხ ვ ა ლ!**

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)-
„ზვეზდა" (ყიზილ-არვათი)
თასის გათამაშება
ძირეულ კოლექტივებს შორის
დასაწყისი 16 ს. 30 წ.

„ბურევესტნიკის" სტადიონი

**20 — 23**

სექტემბერი

**მძლეოსნობა**

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა

დასაწყისი დილის 11, საღ. 17 ს.

ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი

**17 — 18**

სექტემბერი

**აკრობატიკა**

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა

დასაწყისი დილის 11, საღ 18 ს.





**20 — 21**

სექტემბერი

საერთაშორისო შეხვედრა

**რუმინეთი — საქართველო**

# თავისუფალი ჭიდაობა

შეხვედრების დასაწყისი: 20 სექტემბერს 20 ს. 30 წ. 21 სექტემბერს 19 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, ვამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01140